შპს "ხელედულა ენერჯი" ``Kheledula Energy``LTD

საქართველო, თბილისი, 0179 ი.ჭავჭავაძის გამზ. 37-დ 37-d I. Chavchavadze Ave. 0179 Tbilisi, Georgia

ტელ/ფაქსი: (995 32) 2 25 11 83 ს/კ 404500964 Tel/Fax: (995 32) 2 25 11 83

№ 7/88 „31" 07 2018 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს, ბატონ ლევად დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ხელედულა ენერჯი" ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს მდ. ხელედულას და მდ. დევაშის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის ხელედულა 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს. პროექტზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 22 მაისს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №34.

სამშენებლო პროექტის მომზადების პროცესში, ჰესის საერთო სქემაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ: მდ. დევაშზე დაგეგმილი დამბა 2-დან ჰესის სააგრეგატო შენობამდე გათვალისწინებული სადაწნეო გვირაბის ნაცვლად, გადაწყდა კომბინირებული სადერივაციო-სადაწნეო სისტემის გამოყენება, კერძოდ: სადაწნეო მილსადენის ძირითადი ნაწილი განთავსებული იქნება დამბასთან მისასვლელი გზის დერეფანში, ხოლო ბოლო ნაწილი ამისათვის სპეციალურად გაყვანილ გვირაბში.

ხელედულა 3 ჰესის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე, მომზადებული იქნა გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიში, რაზედაც საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია სკოპინგის დასკვნა №9 04.06.2018.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ „ხელედულა 3 ჰესის" მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გზშ-ს ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- გზშ-ს ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია – 1 ეგზემპლარი;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტში მდ. ხელედულაზე „ხელედულა 3 ჰესის" მშენებლობის პროცესში სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროების ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმატივების ნაბეჭდი ვერსია - 3-3 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9888
"03" 08 2018 წ.
02

- გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ხელედულა ენერჯი“-ს რეგისტრაციის თაობაზე.
- გზშ-ს ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები;

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში მიიღოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ხელედულა 3 ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების თაობაზე.

პატივისცემით,

ნ. კურტანიძე

შპს „ხელედულა ენერჯის“-ს დირექტორი